# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

# ეროვნული კომისიის

## დადგენილება №36
## 2025 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

**„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) მე-2 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შპს „ჯიფაუერი“ 2026 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 1 იანვრამდე პერიოდში – 40,266 ლარი/დღე;“;

ბ) მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) 335 დღისა – შპს „ჯიფაუერისთვის“;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკისა და<br>წყალმომარაგების მარეგულირებელი<br>ეროვნული კომისიის თავმჯდომარე | დავით ნარმანია |
| კომისიის წევრი | გიორგი ფრუიძე |
| კომისიის წევრი | გიორგი ფანგანი |
| კომისიის წევრი | დავით თვალაბეიშვილი |
| კომისიის წევრი | გივი სანიკიძე |